სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
თ.-აზნაურთ ქარვასლა

...-მომწერნი გაზეთის დასაკვე-
...მიმართავენ რედაქციის დილის
...საათამდე და საღამოს 6—7
„ჩ. კ. ხალ." წიგნის მაღაზიას.
...მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.
...ძირ მოლაპარაკება რედაქ-
...ასთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
тифлисъ, Дворцовая ул. д
Дворянства.
Телефонъ № 363



წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 5 მან., და 50 კაპ.



სამკურნალო და სასარგებლო დასალევი



ქეფირი და კუმისი



ერთად ერთი ქარხანა რომელიც არსებ-
ობს 1887 წ.

მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილ-
დოვებული ორს გამოფენაზე.

იყიდება მხოლოდ ლ. კორონასთან ლორის-მელიქოვის ქუ-
ჩაზე ზუბალოვის სახლებში ოფიცერთა საეკონომიო საზოგა-
დოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.
(100—3) ლ. კორონა.



დიმ. კოსტ.-ძე ერისთავი
(ოქრომჭედლების ქუჩა, სახ. თულაევისა № 40.)
სადოსტაქარო (ხირურგ.) სნეულებანი—
იღებს ავადმყოფებს—დილის 10—1 საათამდის.

Докторъ Д. К. ЭРИСТОВЪ
...ебрянны рядъ д. Тулаева, № 40). (10—4).



ექიმი ი. ია. გოკიელოვი
...იღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდეს
და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით
...2 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ.
...დ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათ.
...ქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახვე-
...შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.
...ვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—8)



...რნალო და ამბულატორია
...თოფურიასი
ქუთაისში.
...ნალოში 50 საწოლია ავად-
...თვის მიიღებიან ავადმყოფ-
...ნაგანისა, ნერვების, საქირურ-
...გალისა და დედათა ავადმყო-
ფობისანი,
...დებ სენით ავადმყოფნი არ
მიიღებიან.
...ოფთ სინჯავენ დილის 11
...ვან ნაშუადღევის 3 საა-
თამდე. შინაგან და ნერვების ავად-
მყოფობას სწამლობს ს. ბ. თო-
ფურია. საქირურგო ავადმყოფობას
და სიფილისს ფ. ა. მერატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი
ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფო-
ბის და აკუშერობის D-r ф. ბა-
ცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ა.
მარშამსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი
საექიმო და საბაქტერიოლოგიო
გამოკვლევისათვის, ელექტრონით
წამლობისათვის და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თო-
ფურია.
*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.


## კანონი და მთავრობის განკარგულებანი.

უმაღლესი ჯილდო

იმერეთის ეპარქიის, კულაშის მაცხოვრის ჯვარცმის ეკკლესიის მნათეს, გლეხს დავით ნიკურაძეს (იგივე განდელაკი) ყოვლად უმოწყალესად ებოძა, 6 ქრისტიშობისთვეს 1898 წელს, სასულიერო უწყებაში ნამსახურობისთვის, ვერცხლის მედალი სტანისლავის ორდენის ლენტით ყელზე დასაკიდი.

# ახალი ამბავი

—

*** თავად-აზნაურთა კრების გახსნა. გუშინ გაიხსნა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადო კრება, რომელიც, სხვათა შორის, განიხილავს ბანკის რწმუნებულთა მაზრებს შორის განაწილებისა და ტფილისის გუბერნიაში ერობის შემოღების საქმეს.

*** ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოების წევრთა კრება, რომელიც დანიშნული იყო 28 თებერვალს, წევრთა საკმაო რიცხვის მოუსვლელობის გამო, აღარ შესდგა და გადაიდვა 14 მარტისათვის, როცა ეს კრება, მიუხედავად შეკრებილ წევრთა რაოდენობისა, ჩაითვლება კანონიერად.

*** ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიების თავად აზნაურებზე დარჩენილია გადასახდელი ფული: 146,000 მან. საადგილ-მამულო გადასახადი და 600,000 მან. ძველი ხარჯი.

*** მადლობა ექსარხოსისაგან. საქართველოს ექსარხოსმა მაღალყოვლად უსამღვდელოესმა ფლაბიანემ მწყემს-მთავრული მადლობა გამოუცხადა ქართულ დაბადების შესასწორებლად შრომისათვის შემდეგ პირთ: გორის ეპისკოპოსს ყოვლად-უსამღვდ. ლეონიდეს, რომელიც თავმჯდომარეობდა დაბადების შემსწორებელ კომიტეტს 1896 წ. 24 სექტემბრიდან 1898 წლის 22 დეკემბრამდე; ამიერ-კავკასიის საქალებო ინსტიტუტის საღმთო სჯულის მასწავლებელს, დეკ. პეტ. კონჩუევს, წევრს-მდივანს ს. ს. პ. ნ. ნატროშვილს და დიდუბის ღვთის მშობლის ეკკლესიის მღვდელს, ღვთის მეტყველების კანდიდატს მ. კალისტ. ცინცაძეს, რომლებმაც ცხოველი მონაწილეობა მიიღეს ქართული დაბადების შესწორების საქმეში.

*** ქართლ-კახეთ-იმერეთის საეპარქიო კონსისტორიამ შუამდგომლობა აღძრა მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის წინაშე იმის შესახებ, რომ მიეცეს კონსისტორიას იჯარით ის სახელმწიფო ადგილი, რომელზედაც ტფილისელ ვაჭარს ბაინდუროვს შენობები აქვს აგებული, წმ. გიორგის მონასტერში სალოცავად მისულ ხალხის დასადგომად, ან და ხსენებული ადგილი გაიცვალოს მონასტრის სხვა ადგილზე, რომელიც იმყოფება ს. ხატის-სოფლის გვერდით, ბორჩალოს მაზრაში.

*** ქართულ დაბადების შესწორების საქმე ქართლ-კახეთის სინოდალურ კანტორის ბრძანებით ქართულ დაბადების შემსწორებელ კომიტეტის თავმჯდომარედ, ყოვლად-სამღვდელო ლეონიდეს მაგივრად, დაინიშნა ყოვლად-სამღვდელო კირიონი

— ქართულ დაბადების შემასწორებელ კომიტეტის ჟურნალურ დადგენილების ძალით, რომელიც დაამტკიცა საქართველოს ექსარხოსმა, დადგენილია: მოემატოს ამ კომიტეტის შემადგენელ წევრთ შემდეგნი პირნი: ქვაბთახევის მონასტრის წინამძღოლი არქიმანდრიტი დოსითეოსი, ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი ილ. ფერაძე, ანჩისხატის ტაძრის წინამძღოლი პოლიექ. კარბელაშვილი, ტფ. სათ.-აზ. სკოლის მასწავლებლები: მთვარელიშვილი და ქუთათელაძე და ქართული ენის მცოდნე გ. თ. ყიფშიძე.

*** სტუდენტების დაბრუნება უნივერსიტეტებში. სხვა და სხვა უნი-

ვერსტეტების სტუდენტები, რომლებიც ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდნენ უნივერსიტეტებში ლექციების კითხვის შეწყვეტის გამო, უკანვე გაიწვიეს ტფილისიდან.

*** **ბანკიდან გამოსატან ფულის საქმე ქუთაისში.** 26 თებერვალს ქუთაისის სათავად-აზნაურო დეპუტატთა კრებამ განიხილა ის კითხვა, თუ რა სახით და რა საჭიროებას მოხმარდეს ქუთაისის მიხეილის სათავად-აზნ. საადგ.—მამ. ბანკიდან დასაბრუნებელი ფული. დეპუტატთა კრებამ სახეში მიიღო, რომ თავად-აზნაურთა კრებას შეუძლია თავად-აზნაურთა ამა თუ იმ საჭიროების დასაკმაყოფილებლად დაადგინოს საერთოდ ფულის გამოღება საერთოდ ჲ რომ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობას ყველაზე უფრო განათლება ესაჭიროება, დაადგინა: წინადადება მიეცეს თავად-აზნაურობა მომავალ კრებას შეადგინოს ბანკიდან გამოსატან ფულით თანხა თავად-აზნაურთა განათლებისათვის.

*** **გლეხებისაგან ღვინის უკანონოდ გაყიდვა.** მე-Ⴑ ნაწილის ბოქაულმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ ქალაქის ბაზარზე გლეხები უკანონო ზომებით ჰყიდიან ღვინოს, და სთხოვს გამგეობას მიაქციოს ამას ყურადღება.

*** **დარჩენილ ხარჯის გადახდა.** ფინანსთა სამინისტრომ, საშინაო საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, წინადადება მისცა ტფილისის სახაზინო პალატას, განკარგულება მოახდინეთ იმის შესახებ, რომ წლის განმავლობაში 1899 წლის 1-ლ იანვრიდან ნაწილ-ნაწილად იქნეს გადახდილი დარჩენილი საკომლო ხარჯი 349 მ. და 45 კ. და საგუბერნიო საერო გადასახადი 2,192 მ. 55 კ., რომელიც გადასახდელი აქვთ სოფლებს: მინახვრიანთ კარს, მჰადისჯვარს, შუა ხევს და ზენდუშეთს დუშეთის მაზრისას და ს. ჯვარის უბანს თიონეთის მაზრისას, რომლების ნათესი 1898 წ. სეტყვამ გაანადგურაო.

*** **ქ. დუშეთას შუამდგომლობა.** დუშეთის ქალაქის გამგეობას, როგორც ისმის, შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ ქ. დუშეთმა ნაწილ-ნაწილად გადაიხადოს ამ ქალაქზე 1897 წლის დარჩენილი, პოლიციის შესანახი ხარჯი სულ 400 მან. ხუთი წლის განმავლობაში, დაწყებული 1898 წლიდან. ეს შუამდგომლობა ტფილისის გუბერნატორის თანამდ. აღმ. ამ დღეებში გადასცა კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწეს გენ.-ლეიტ. ა. ა. ფრეზეს.

*** **საშუალო სასწავლებლების რაცხვის გამრავლება ამიერ-კავკასიაში.** „რუს. უწყ.“ გადმოგვცემს, რომ მთავრობის წრეებში ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმაზე, რომ საჭიროა გამრავლებულ იქნეს ამიერ-კავკასიაში საშუალო სასწავლებლების რიცხვი, რომელიც დღეს მეტად მცირედია.

*** **ხონის საქალებო სასწავლებელი.** გამოცხადებულია, რომ დ. ხონში დაარსდა მარიამის საქალებო სასწავლებელი.

*** **ლოთების მკურნალი მიხ. ალავერდოვი ლონდონში.** „ნოვ. ვრემია“-ს ლონდონელი კორესპოდენტი დეპეშით აუწყებს: ლოთების მკურნალმა მიხ. ალავერდოვმა, რომელიც აქ რუსეთიდან მოვიდა, დიდი ყურადღება დაიმსახურა; ექიმები და სხვა-და-სხვა გვარი საზოგადოება ამტკიცებენ, რომ მართლაც ლოთების განკურნება მისგან საოცარია. თვითონ მკურნალი მეტად გაკვირვებულია ავადმყოფების რიცხვით ინგლისის საზოგადოების ინტელიგენტთა წრიდან და განსაკუთრებ თ ქალების წრიდან, რომლებიც მასთან მიდიან სამკურნალოდ.

*** **უკანასკნელი ქართული წარმოდგენა.** 27 თებერვალს ქართული დრამატიული საზოგადოების დასმა უკანასკნელი წარმოდგენა გამართა რეჟისორთ: ვ. აბაშიძის და კ. მესხის საბენეფისოთ. წარმოადგინეს „ოხრები“ სამ მოქმედებიანი კომედია და „სულთამხუთავი“ დრამა 5 მოქ. საერთოთ წარმოდგენამ გვარიანად ჩაირა და დიდძალი ხალხიც დაესწრო, ისე რომ ბევრნი ისევ უკან დაბრუნდნენ უბილეთობის გამო. მობენეფისეთ ბლომა საჩუქრები მიართვეს. ხალხი მეტად ნასიამოვნები დაბრუნდა.

*** **ქ. ქუთაისის ნოქრების თხოვნა.** ქ. ქუთაისის ნოქრებმა სთხოვეს ქალაქის საბჭოს, გამოეცით სავალდებულო დადგენილება იმის შესახებ, რომ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი იხურებოდეს კვირა-უქმე დღეებში მთელი დღით. თავიანთ შუამდგომლობას ნოქრები იმით ასაბუთებენ, რომ არსებული დადგენილება კვირა უქმე დღეებში ვაჭრობის შესახებ, რომლის ძალით ვაჭრობა ამ დღეებში მხოლოდ შუადღის 12 საათიდან 6 საათამდე უნდა სწარმოებდეს, ვერ აღწევს მიზანს, რადგან მალე გაღების მოლოდინში დუქნის კარები დილიდანვე ნახევრად აქვთ გაღებული, ვაჭრობა სწარმოებს ფარულად და ნოქრებს არ შეუძლიანთ წავიდნენ დუქნიდან, ხოლო თუ ვინმემ გაბედა წასვლა, მას არ შეუძლიან თავისუფლად დაისვენოს, რადგან ეშინიან, ვაი თუ დუქანში დამიგვიანდეს მოსვლა 12 საათისთვისაო.

ამ შუამდგომლობის განხილვას შეუდგა ქუთაისის საბჭო 22 თებერვალს. მრავალი ხმოსანთაგანი მას თანაგრძნობით მოეკიდა, მაგრამ სამწუხაროდ, ამ შუამდგომლობის შესახებ გადაწყვეტილების დადგენას ხელი შეუშალა იმ გარემოებამ, რომ სხდომაზე ეჭვი გამოითქვა იმის შესახებ, აქვს თუ არა საბჭოს უფლება დახუროს სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი მთელი დღით. ეს ეჭვი დაჰბადა ამას წინად მომხდარმა სენატის განმარტებამ, რომლის მიხედვით ეს უფლება ქალაქს მეტად შეზღუდული აქვს. ამის გამო საბჭომ დაადგინა: მიენდოს ქალაქის გამგეობას წარმოადგინოს ამ კითხვის შესახებ დაწვრილებითი მოხსენება. საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ სენატის განმარტებით საბჭოს არ შეუძლია შეზღუდოს ვაჭრობა სანოვაგით და საქონლის საკვებით, და მან უნდა აღკრძალოს მხოლოდ ის, რაც აღკრძალულია პირდაპირი კანონით, მაგალ., მუშაობა სახელოსნო დაწესებულებებში საზოგადოდ და საპარიკმახეროებში კერძოდ. აქედან ცხადია, რომ სენატის განმარტება ხელს არ უშლის ქალაქის საბჭოს შეიწყნაროს ნოქრების შუამდგომლობა, რითაც აუარებელ ხალხს დიდ შეღავათს მიანიჭებს.

*** **გაძარცვა ახალ ქალაქის გზატკეცილზე.** ამ დღეებში ახალციხის მაზრის ს. ჩეგერეკში გაიარა ს. ბუგასკესალის მცხოვრებმა სოლომონ ოჰანეზოვმა. ქარბუქის გამო მან გზა ველარ განაგრძო და ღამის გასათევად შევიდა ადგილობრივი მამასახლისის—ხარჯის ამკრეფის სახლში. მასპინძელთან და ადგილობრივ მცხოვრებს პოლოსოვსა და სარქისოვთან ლაპარაკის დროს მგზავრს წამოსცდა, ახალციხეში მივდივარ ვაშლის საყიდლადაო. მეორე დღეს ის იყო ოჰანეზოვი გასცდა ს. ჩეგერეკს, მას წამოეწია ოთხი უცნობი კაცი, რომლებიც ისე იყვნენ ჩაცმულნი, როგორც სომხები იცვამენ და თავპირ შეხვეულნი იყვნენ. მათ ოჰანეზოვს ხანჯალი მიალირეს და მოსთხოვეს ფული, რომელიც მას 335 მანეთამდე ჰქონოდა. ბოროტ-მომქმედთ გაძარცვეს ოჰანეზოვი, შეჰკრეს და გადაისროლეს თხრილში ხიდთან. საბრალო კაცი დიდხანს იყო ასეთ მდგომარეობაში, სანამ ის ორმა ებრაელმა არ შენიშნა, რომლებმაც გააჩერეს გზაზე ფოსტა და მისი მხლებელი ჩაფარი. ოჰანეზოვმა, რომელიც ახალცი[...]
მიიყვანეს, განაცხადა ყოვე[...]
საქმის გარემოება. მაზრის უ[...]
სი წავიდა იმ ადგილას, საცა
ძარცვა მოხდა. მან მოუწოდა
ფლების ყრილობას და მოსთ[...]
მათ ფულის დაბრუნება. ორი[...]
გილობრივი მცხოვრები ს[...]
დაატუსაღეს. საქმის გამოძიებ[...]
სამართლოს მიენდო. („კავკ.“)

*** **ს ქარელი** (ქართლი)
**რო მკვლელობა.** 25 თებერ[...]
საათის რვაზედ საღამოსი სა[...]
ქარელიდგან მიდიოდნენ მუ[...]
უფროსი ეკალაძე, რკინის [...]
ყარაული ქრისტეფორ გუ[...]
შვილი და ერთიც მუშა.
პირდაპირ მიდიოდნენ ექვსი[...]
ლი შეიარაღებული ოსი. [...]
ძემ უბძანა გურასპაშვილს გ[...]
რეკა რკინის გზიდან ეს ო[...]
რადგანაც მატარებლის ჩამო[...]
დრო იყო და ეშინოდათ მ[...]
ლები არ დაეჭყლიტნა. გუ[...]
შვილმა უთხრა ამ ოსებს
სულიყვნენ ლიანდაგიდან, [...]
ამათ ყურადღება არ მიაქ[...]
მაშინ გურასპაშვილმა ხელი
ერთ ოსთაგანსა. ამ დროს
რებელმაც ჩამოიარა და ეს მ[...]
რები შუაზედ გაყო. ერთ მ[...]
ეკალაძე და თავის მუშა დარ[...]
მეორე მხარეს ოსები და გუ[...]
შვილი დარჩნენ. ამ დროს [...]
ამოიღო ხანჯალი და სახ[...]
გურასპაშვილს დაჰკრა მარ[...]
ფერდში და მარჯვენაში გ[...]
ხანჯალი. როცა გურასპა[...]
წაიქცა ოსები გაცვივდნენ დ[...]
საც არ იციან ვინ იყვნენ.
ლობრივ გამომძიებელი მ[...]
მოვიდა ჟანდარმი და
ტონი ბოქაული ბაბალოვ[...]
დია ადგილობრივი ბოქაულ[...]
ბაბალოვი აღმოაჩენს მკვლ[...]
რადგანაც ამის ნაწილში არ[...]
ოსები, უფრო იმითი არის [...]
პოვნისა, რომ ერთ ოსთაგ[...]
ვი გაუტეხეს ამ ჩხუბის [...]
ქვითა. იმედია ზომებს მი[...]
და აღმოაჩენენ ამ მკვლელ[...]
ზეუ[...]

*** **დ. აბაშა.** (სამეგ[...]
**ანდრო უჩანეიშვილის საქმე**[...]
სი ამხანაგების და თავისი [...]
რელი სოფლისთვის მარად[...]
ვარი განსვენებული ანდ[...]
ნეიშვილის საქმე, რომელ[...]
როვოთ გამოასალმა ამ წ[...]
ფელს წარსულ წელს თავ[...]
ქოვანმა, ხუთ თებერვალ[...]
ქუთაისის ოლქის სასამარ[...]
ჩიქოვანს საუკუნო ციმბ[...]
დაუწყვიტეს. ეს არის და[...]
ველივე, კაცთმოყვარული[...]
ბით ალსავსე ადამიანს გუ[...]
ლავს ერთისა და მეორის [...]
როვოთ დაკარგვა. „რა [...]

...რა დაკარგულიო“ ამბობს სოფ-
...თქმულება ესე გათავდა ეს სა
...არო საქმე.

ბ. დ—ძე

..., მცირე შენიშვნა („ვეფხვის
...ოსნის“ ახალი ვარიანტის შე-
...). ის ხელთ ნაწერი „ვეფხ-
...ოსნისა“, რომელიც აღმო-
... უკანასკნელ დროს ერე-
...გუბერნიაში, ჩვენის ფიქრით
...ნდა იყოს შესანიშნავი ვა-
...ტი.

... ადგილები, რომლებიც და-
...ებული იყო, რომ 1887 წ.
...ცემულს „ვეფხის ტყაოსანს“
...ერეთ და დიდი განსხვავება
...ინდაო, ჩვენ კარგათ ვიცით,
... სწორედ ეს ადგილები დაუ-
...ია მეჩვიდმეტე საუკუნეში ვი-
...ნანუჩა ციციშვილს, რომელ-
...მეფე არჩილ მეორეც იხსე
...ს „არჩილიანში“ ასე:
...ნანუჩას რუსთველის ნათქვამში
...ი რამ აურევია,
...ლოს ვერ შეუტყვია,
...და რამ აუმღვრევია“.
...ნუჩა ციციშვილის მიერ ჩა-
...ებული ადგილები „ვეფხის
...ოსანში“ ცხადათ სჩანს, რად
...ც მას ცხადათ აკლია რუსთ
...ის შემოქმედებითი ძალა,
...თარი ბასრი ტალი და დიადი
...ვარ ხელოვნება, ბევრის ალა-
...ადამიანის მდგომარეობასა და
...იერს მხარეებში ღრმად ჩახე-
...და მის აღწერა.

... მიმატებული ადგილები ქა-
...ლებისაგან ადრევე იქმნა შე-
...ული, ამიტომ იგი ძველათვე
...უკრებიათ „ვეფხის ტყაოსნიდ-
...და ცალკე დაუწერიათ წიგ-
...ზედ მიუწერიათ, რომ ეს
...ლები ნანუჩა ციციშვილს
...წერია და „ვეფხის ტყაოსან-
...ჩაურთავსო. ჩვენ გამოვკრი-
...იქიდგან და ცალკე დავწერე-

...ნუჩა ციციშვილის დამატება
... ვახტანგ მეფისთვის დარჩა
...შენელოთ. მაშინდელმა „ვეფ-
...ტყაოსნის“ რედაქციამ საჭი-
... დაინახა ამ ადგილების გამო-
...ება, მათ განიხილეს „ვეფხის
...ოსნის“ ხელთ-ნაწერები, ნა-
... ნათქვამნი გამოსტოვეს და
... წ. ქ. ტფილისში გამოსცეს
...ოთ „ვეფხის ტყაოსანი“. „ვე-
... ტყაოსნის“ ეს დამატება
... წ. ჟურნალ „ივერიაში“
...ქდა, სადაც ტაეპებს მღ. ვ.
...ლაშვილისაგან ცნობები აქვს
...ილი. თუ ნანუჩა ციციშ-
...ს მიერ ჩამატებული ტაეპე-
...ვეფხის ტყაოსანში“ სადა და
... რომელ ტაეპის გვერდზედ რა
... მიმატებული, ასე რომ
...დამატება ჩვენგან ადრევე
...ილი და იგი ჩვენს მწერლო-
... განსაკუთრებულს რამეს მა-

ინც არ წარმოადგენს.

მეორე: ესევე დამატება მე გავარჩიე შეძლებისა დაგვარად და მოვათავსე ჩემგან მიერ სარგის თმოგველისაგან დაწერილს „დილარიანის“ სამი თავის გამოცემაში, რომელიც დავბეჭდე 1897 წ. იქ ამაზე დაწვრილებით გვაქვს საუბარი, რადგანაც ნანუჩა ციციშვილის ნათქვამში რაღაცა უაზროთ შემდეგი ტაეპი მოიხსენება, რომელიც სარგის თმოგველს შეეხება:

„ეს ამბავი დარჩომოდა, სარგის
ლექსთა შეუწყობლად,
ეგრევ თმოგვი თმოგველთაგან შე-
სავლითურთ დარჩა ობლად,
ესე სიტყვა მოვახსენე, ვინ ჩანს
გმირთა რაზმთა წყობლად,
და მიბრძანა თუ ლექსად თქვიო,
მჟევრ ქართულად დაუშრობლად“.

სად „ვეფხის ტყაოსანი“ და სად მის ამბავთა სარგის თმოგველისაგან დაიწყება და არ დაწე რა ყველამ ვიცით, რომ „ვეფხის ტყაოსანი“ შოთა რუსთველმა დასწერა, და მაშასადამე აქ სარგის თმოგველი რა შუაშია, მას რა ესაქმება შოთა რუსთველის „ვეფხის ტყაოსნის“ ზოგიერთი აზრების დაიწყებაში და არ გალექსვაში. ესეთი უჯერო და უადგილო შენიშვნა წმინდათ ციციშვილის ფანტაზიას შეადგენს.

სარგის თმოგველმა რაც დასწერა, ეს ჩვენ „ვეფხის ტყაოსნიდამაც“ ვიცით. მას დაუწერია რომანი „დილარიანი“, რომელიც ჟამთა ვითარების მეოხებით დაკარგულა, ამ დაკარგულის ფურცლები 1896 წ. ტფილისში აღმოჩნდა და იგი მე ცალკე წიგნადაც დავბეჭდე.

ასე და ამ გვარად, უნდა მოგახსენოთ, რომ „ვეფხის ტყაოსანი“ იმ ადგილებით კი არ არის შესამჩნევი, რომელიც ციციშვილს ჩაუმატებია „ვეფხვის ტყაოსანში“ და რომელი ადგილებიც მპოვნელთ განსხვავებულათ დაუნახავთ და თუ თვით შოთა რუსთველის „ვეფხის ტყაოსანს“ და ამ ახალ ნაპოვნ ხელთ-ნაწერთ შორის რამე განსხვავება აღმოჩნდება, ეს კი შესამჩნევი იქმნება და საჭიროა, რომ ეს ხელთ-ნაწერი სამუდამოდ თუ არა, დროებით მაინც გამოიგზავნოს ტფილისში, რადგანაც ამ ჟამად ტფილისში „ვეფხის ტყაოსანი“ უკვე იბეჭდება.

ზ. ჭ.

## სამკურნალო ცნობა

ლოთობა. სასტატისტიკო ცნობებიდან სჩანს, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ლოთობა დღითი დღე ფეხს იდგამს და ვრცელდება. ლოთობა, როგორც ერთი უუსაძაგლესი მიდრეკილება ადამიანის თვისებისა მეტად მავნებელია ადამიანის კეთილ-დღეობისთვის და ძალიანაც აბრკოლებს სწავლა-განათლების წინმსვლელობას. ლოთობა ჰბადავს უვიცობას, უმატებს დამნაშავეთა რიცხვს, სპობს მეოჯახობას, ავრცელებს გარყვნილებას, აძაბუნებს ადამიანის ჯან-მრთელობას და ამცირებს ხალხის რაოდენობას. გამოჩენილი მეცნიერი ა. ფკონი სიმთვრალეს სულით ავადმყოფობას ადარებს და ურჩევს მთავრობას იგივე ზომები იყოს მიღებული ლოთებზედაც, რა ზომებსაც სულით ავადმყოფებზე იღებენ, რადგანაც მეცნიერის გამოკვლევით, ლოთობაც იგივე სულით ავადმყოფობა არის, რომელსაც ძალიან ფრთხილი ექიმობა ესაჭირვება და ადვილიც არის ლოთი კაცის გამობრუნება და კეთილ გზაზე დაყენება. მართლაც რატომაც არ უნდა იყოს მიქცეული განსაკუთრებული ყურადღება ლოთებზე, რომლებიც ისეთივე შემაწუხებლები და მავნებელნი არიან საზოგადოებისთვის, როგორათაც ჩუმაზე შეშლილნი? ლოთ კაცს უფრო მეტი მიმზიდველობა აქვს დანაშაულის ჩასადენათ, ვიდრე გიჟს; საზოგადოთ თვალი რომ გადავავლოთ მიმდინარე ცხოვრებას, შევნიშნავთ, რომ უმეტესი ნაწილი კაცის კვლა, ქურდობა, შეძრუშობა, ლოთი და მთვრალი ხალხისგან წარმოსდგება ამიტომაც განსაკუთრებითი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული ამ ხალხზედ, რომლებიც მავნებელ ელემენტს წარმოადგენენ ცხოვრებაში. როდესაც ლოთი კაცი ავაზაკობას სჩადის, მას სამჯავროს ხელში აძლევენ, მაგრამ ამ შემთხვევაში სამჯავროც მოკლებულია მიიღოს რაიმე სასტიკი ზომები, რადგანაც იქვე მკურნალი ამოწმებს, რომ ეს დამნაშავე ლოთია და სრულ გონებაზე არ არის და მაშასადამე მისი დასჯაც შეუძლებელი ხდება. ამ რიგათ ლოთ კაცს თავისი გარყვნილი და საზიზღარი მიდრეკილება სასჯელიდან ანთავისუფლებს და საბრალო მისი უმანკო მსხვერპლი კი სამუდამოთ შორდება წუთი სოფელს. ბევრჯელ სასამართლო სჯის კიდეც ლოთი კაცის დანაშაულს, ჰგზავნის კატორღაში, მაგრამ ჩვენის აზრით, ისა სჯობიან ლოთი კაცის ხასიათი სამკურნალოში გასწორდეს, ვიდრე კატორღაში, მით უფრო, რომ მას თავიდან ასცდება საზარელი დანაშაულის ჩადენა და აღარც თავის სულს დაუმძიმებს მომავალ სასჯელს.

ამ შემთხვევაში მეცნიერს მხედველობაში ჰყავს ის ლოთები, რომლებიც წელიწადი თორმეტი თვე თავიდგან არ ინელებენ და დავიწყებული აქვთ ყოველივე ადამიანური მოვალეობანი. აი ამ გვარი პირებისათვის ურჩევს განსაკუთრებით სამკურნალოს დაარსებს და მით წამლობას, რადგანაც მათგან ბევრი სხვა იღებს მაგალითს და თითქმის ნახევარ საზოგადოება გამსჭვალულია ამ სენით. რუსეთის სამკურნალოების ცნობებიდანა სჩანს, რომ მთელი იქაური სამკურნალოებში უმეტესი ნაწილი სულ ლოთობით ავადმყოფობით არის სავსე: ზოგი მათგანი დამბლაა, ზოგი გონებაშერყეული, ზოგიც გარეთგდებით დაძრული ყინვისაგან და სხვა. რუსეთში მით უფრო მეტია ლოთობით ავადმყოფები, რომ იქაური ხალხი მაგარ სასმელებს ეტანებიან, რადგანაც ღვინო ძვირი და იშვიათი საშოვარია. ამგვარი სამკურნალოები ევროპაში უკვე დაარსებულია და ძალიან სასარგებლო ნაყოფიც მოაქვს.

ივ. კავთელი.

## რჩეული აზრები

ადამიანმა თუ თავის მწუხარებას თვითონ არ მოუღო ბოლო, დრო თვითონ მოსპობს.

ის კაცი საშიშია, რომელსაც დასაკარგი არა აქვს რა.

ბოროტობა არასოდეს კეთილით არ დაბოლოვდება.

ჩვეულება—ტირანია ხალხისა.

ბედს კი არ უნდა დაემონო, არამედ უნდა შეურიგდე

ნუ მიეცემი მწუხარებას და მზრუნველობას: იგინი სჩაგრავენ გულს და სწამლავენ სიცოცხლეს.

სიცოცხლე თავის თავად არც სიკეთეა და არც ბოროტი. იგი ასპარეზია კეთილსა და ბოროტს შორის.

შეისწავლე შენი თავი მოულოდნელ უბედურებაში.

ყოველივე იშვება და იბადება მდორედ, ხოლო ყოველივე კი სისწრაფით იღუპება.

## გასართობი

ერთმა კაცმა ცხენი დუქნის წინ დააბა და თვითონ სავაჭროთ დუქანში შევიდა, ქურდმა დრო იპოვნა, შემოახტა ცხენს და გაქუსლა. ცხენის პატრონმა თავისი ცხენი რომ ვერ ნახა, შემდეგი ხერხი იხმარა: განცხადებები დასწერა და ყველგან გააკრა: თუ ქურდი იმ ჩემ ცხენს არ მომიყვანს ამ მოკლე ხანში, ისე მოვიქცევი როგორც ამისთანა შემთხვევაში მამაჩემი მოიქცაო. ქურდი დაინტერესდა და მოუყვანა ცხენი თან სთხოვა ამიხსენი თუ როგორ მოიქცა მამაშენიო. ცხენი რომ აღარ ჰყავდა ფეხით წავიდა სახლშიო! უპასუხა ცხენის პატრონმა.

# წვრილი ამბავი

საინტერესო ცნობანი. ინგლისში 20,000 სკოლაა, 45,000 მასწავლებელია და 5 მილიონამდე მოსწავლე, საფრანგეთში 80,000 სკოლაა, 151,000 მასწავლებელი და 6 მილიო-

ნი მოწაფე. გერმანიაში 47,000 სკოლაა, 122,000 მასწავლებელი და მხოლოდ პრუსიაში $5\frac{1}{2}$ მილიონი მოწაფე ირიცხება. რუსეთში 47,000 სკოლაა, 34,000 მასწავლებელი და $2\frac{1}{2}$ მოწაფე და ამერიკაში 226,000 სკოლაა და 14 მილიონი მოწაფე.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

25 თებერვალი

**ტულონი.** ერთს კორესპონდენტთან საუბრის დროს ლოკრუამ სთქვა, რომ ლაგუბრანში მომხდარი უბედურება თოფის წამლის აფეთქებას არ მიეწერებაო; შესაძლებელია, რომ აფეთქების მიზეზი ბოროტ განზრახვა იყო; იქმნება აქ საათის მზგავსი მანქანა იხმარეს, რომ დანიშნულ დროს მანქანას აეფეთქებინა თოფის წამალი. რაც შეეხება იმ პატრონებს, რომლებიც იპოვნეს ყაზარმების მახლობლად, დამტკიცებულია, რომ ეს პატრონები უცხოელისა არის.

**ბერლინი.** იმპერიის სეიმის საბიუჯეტო კომისიამ შეიწყნარა ცენტრის წინადადება შესახებ იმისა, რომ 1903 წლამდე მშვიდობიანობის დროს ჯარის რაოდენობას თან-და-თან ემატებოდეს, ვიდრე 495,500 კაცამდე მიახწევს, კავალერია 465 ესკადრონს და ცხენოსან ეგერების ესკადრონთა რიცხვი 17-მდე.

**რომი.** გაზეთს „Tribuna“-ს ატყობინებენ, რომ პეკინში მყოფმა ელჩმა ინგლისისამ შეატყობინა თავისს მთავრობას, ჩინეთის მთავრობამ მთხოვა გამოვუცხადო იტალიის ელჩს ჩვენი მწუხარება იმის გამო, რომ იტალიის ელჩის მარტინოს წინადადების ჰილების უარი იტალიამ საწყინოდ მიიღოო. ჩინეთის მთავრობა მზად არის წერილით ბოდიში მოსთხოვოს მარტინოს. ამას დასძენენ, ბოდიში მხოლოდ მაშინ იქმნება შეწყნარებული, თუ ჩინეთის მთავრობა მოისურვებს, რომ წინადადება კვლავ წირედგინოს და გარდა ამისა ჩინეთისავე მთავრობა მოიწადინებს შერიგებას. ოფიციალურ წრეებში დარწმუნებულნი არიან, რომ ეს საქმე გადაწყდება მარტის დამლევამდე

**ოდესა.** ქალაქის საბჭომ დაადგინა: გადადებულ იქმნას 3,000 მან. პუშკინის სახსოვარ დღეებში დღესასწაულების გასამართავად, შემუშავებულ იქმნას პროექტი პუშკინის სახელობაზედ სახლის აგებისათვის სხვა-და-სხვა სასარგებლო დაწესებულებით: სამკითხველოთი და აუდიტორიით; მიეცეს უფასოდ ადგილი პუშკინის სახელობაზედ დასაარსებელ თავ-შესაფარს, სადაც მიღებულ იქმნებიან ის ღარიბნი მწერალნი, რომელთაც შრომა აღარ შეეძლებათ. მიეცეს თავშესაფარსა, სკოლას, აუდიტორიას და სამკითხველოს წელიწადში 5,000 მან.

**პეკინი.** აქ ისე ჰფიქრობენ, რომ იტალიის ელჩს ჯერ არავითარი მოწერილობა არ მიუღია თვისი მთავრობისაგან შესახებ იმისა, როგორ უნდა მოიქცეს ძუნგლ-იამენის წინაშე.

26 თებერვალი

**პეტერბურგი.** დღეს, იმპერატორის ალექსანდრე მესამის დაბადების დღეს პეტრე პავლეს ტაძარში გარდახდილ იქმნა წირვა და წირვის შემდეგ პანაშვიდი იმპერატორის ალექსანდრე III-ს ტაგრუსთან. ტაძარში ბძანდებოდნენ: ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, პეტერბურგში მყოფნი ყველა დიდნი მთავარნი და მთავრინანი, ოლდენბურგის პრინცები და მეკლენბურგ-სტრელიცკის ჰერცოგნი.

**სტამბოლი.** მექაში ავად გახდა შავის ჭირით ერთი კაცი; ჯედდში გუშინ ერთი კაცი გარდაიცვალა შავის ჭირისაგან.

28 თებერვალი.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ლუკიანოვის მაზრის სოფელ ბოლდინოში, სადაც პუშკინი სცხოვრობდა, სოფლის კრებამ გადასწყვიტა პუშკინის სახსოვრად დაარსებულ იქმნას ორ-კლასიანი სკოლა; სკოლის შენობისათვის მისცეს ერთი დესეტინა ადგილი; გარდა ამისა გადაწყვეტილია ყოველ წელიწადს გადადებულ იქმნეს სკოლისათვის საჭირო ფული.

**ბერლინი.** ინგლისის ცნობილი ფინანსისტი და პოლიტიკური მოღვაწე სესილ როდსი, რომელმაც 1896 წელს უარი სთქვა კაპის ახალშენთა მინისტრობაზე ამ ჟამად ბერლინშია და იმპერატორთან იყო. როდსთან მოლაპარაკება არის იმის შესახებ, რომ სამხრეთ აფრიკიდგან ეგვიპტემდე რკინის გზა იქმნას გაყვანილი გერმანიის ადგილებზე.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. კამათობა სამხედრო ბიუჯეტის შესახებ. სოციალისტი სემბა თხოულობს გაუქმებულ იქმნას ის მუხლი, რომელიც შეეხება ჩვეულებრივსა ანუ საგანგებო მისიებს, რომ საზღვარგარედ აღარ იყვნენ აგენტები, რადგანაც იმათის წყალობით მხოლოდ ჯაშუშობა არსდება. ფრეისინე ამბობს: „ჩვენმა ოფიცრებმა კარგად იციან, რა ილაპარაკონ უცხოეთის სამხედრო აგენტებთან. გარდა ამისა, ისეთი საიდუმლო, რომლის განცხადებაც მოიწადინოს ვინმემ, ძლიერ ცოტაა. უცხო სახელმწიფოთა მობილიზაციის კომისიებმა თითქმის ნამდვილად იციან ჩვენი მობილიზაცია. ჩვენი უშიშრობა დამოკიდებულია მხოლოდ ჩვენს მამაცობასა და თავდაჭერილობაზე. რაც ზოგიერთი უწესოება . იქვე გამოვსთქვით ის აზრი, რომ სამაზრო სამმართველო არ იყო უწყებული ამ უწესოების შესახებ. ხსენებული ჩვენი ჰაზრი სავსებით გამართლდა. 26-ს თებერვალს მობრძანდა ჩვენს საზოგადოებაში ხარაგაულის ბოქაული ბ-ნი ლოლაბერიძე, რომელიც ცნობილია, როგორც მოხელე, მომხრე სიმართლისა და ამლაგმავი ყოველგვარ უწესოებათა... ბ. ბოქაული შეუდგა გამოძიებას და აღმოაჩინა, რომ განაჩენი ცხენების შესანახ ხარჯის შესახებ უკანონოდ იყო შედგენილი, იმისთანა პირები იყვნენ იმაში მოხსენებული, რომელთაც არ გაუვლიათ კანცელარიაში მთელი ზამთრის განმავლობაში. ერთი წლობით ცხენების მოიჯარადრეებს მან დააკლებინა ათი თუმანი, ასე რომ საზოგადოებამ უნდა გადაიხადოს მთელი წლის განმავლობაში ცხენების ხარჯად ასი თუმანი ოცდა ცამეტი თუმნის მაგივრად... მაინც საზოგადოებას ამის ძალით დაეკისრება სამოცდა შვიდს თუმანზედ მეტი ხარჯი წარსულ წლის ხარჯთან შედარებით ცხენების შესანახად. ამ საზოგადოებას იმედი აქვს, რომ ეს ხარჯი შემდეგი წლისთვის ერთი სამად შემცირდება, რადგან გლეხკაცობას უიმისოდაც ბევრი გადასახადი აძევს კისერზედ.. ხალხს იმედი აქვს, რომ ბ-ნი ბოქაული შემდეგშიაც მას მოსარჩლებას გაუწევს და შევა მისს უკიდურესს მდგომარეობაში. მწერლის შესახებ ჩვენ წინა წერილში ვსთქვით და ახლაც ვიმეორებთ, რომ მას დიდი ჯაფა აქვს, რადგან ჩვენი მამასახლისი უსწავლელია... ჩვენ იმ წერილში ერთი სიტყვითაც არ გვიხსენებია იგი ცუდად. ყველა ლაპარაკობდა: სასოფლო სამმართველომ მას ჯამაგირი მოუმატაო ყრილობის დაუკითხავად.. მაგრამ ეს ხმა, იმედია, არ გამართლდება... თუ მომატება იქნება ჯამაგირისა, ისევ ყრილობამ რომ მოუმატოს კანონიერად, ის აჯობებს. მაშინ ბ-ნ მწერალს იმის თქმის საფუძველი ექნება, რომ საზოგადოებამ მისი შრომა დააფასა ღირსეულად და თავსაც მოიწონებს ამით სოფლის წინაშე, რომლის კეთილდღეობისათვის სამსახურებლად იგი მოწოდებულია.


# განცხადებან

ტფილისის ქალაქის გამგეობ
ყველა ცხენის პატრონთ
ყურადღებოდ აცნადებს,
რადგან ამა წლის 1-ლ მ
ჯდა გაუდის 18 წლ. ს
ნო გარდასახადის შეტანას
რიმის გადაუხდელად, ამის
ეს გადასახადი მიიღება ქ
ქის კასსაში შემდეგს უქმე
ებშიაც: შაბათს, 27-ს და
რას, 28 თებერვალს დი
10 საათიდგან, ნაშუადღევ
საათამდე. (3–

გამოვიდა და ისყიდება
წერა-კითხვის გამ. საზოგ. წი
მაღაზიაში
**იმერული**
**სცენებ**
შეკრებილი ქ. მესხის მი
ფასი 5 კაპ.
ვინც „ცნობის ფურცლის“
დაქტიიდან გამოიწერს ერთ
25 ცალს, იმას ერთ მანათად
ეთმობა. (12–

გამოვიდა და ისყიდება ცნობ
და საფრანგეთის საყვარელ
ტის ბერანჟეს თხზულებ
**„ბერანჟ**
ქართულად
გ. გვაზავას თარგმანი.
**ფასი 40 კაპ.**
წიგნი მოზრდილია, სუფთ
ლამაზად არის გამოცემული;
ცავს 40 საუკეთესო ლექს
ავტორის სურათს.
ვინც ერთბაშად 10 ცალს გ
წერს, 20% დაეთმობა „ც
ფურც.“ ხელის მომწერთ
გაეგზავნება ორიაბაზის ფ
მარკით. (10–

ისყიდება ყველა ქართულ წ
მაღაზიებში
მ. ღაღიძის გამოცემული წ
რჩეული ლექსები და უკვ
დავი სარდალი, ცახელის
ნათელა, პოემა აკაკისა .
ანამზრდელი, მისივე .
გოდა . . . . .
საუკეთესო ლექსა კრება .
მარო, დ. მაჩხანელისა .
იბეჭდება და მალე გამოვა გამ
პოემების კრებული
აჩრდილი, მომაკვდავის ჩვე
ნება და იმედი . .
(50–


Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 Мартъ 1899 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ვ. ბუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ.